

**პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში მიკვლეული  
ახალი წყაროები კათალიკოს-პატრიარქ დომენტი IV-ისა  
და მეფე ქაიხოსროს შესახებ**

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა, ქართული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ეტაპია საქართველოს ისტორიაში: ოსმალეთისა და ირანის პოლიტიკური და სამხედრო ზეწოლის შედეგად დასუსტებულ და დანაწევრებულ ქვეყანაში ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად ქართველთა ეროვნული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნების საკითხი იქცა. ამ თვალსაზრისით, წმინდა საყდართან ურთიერთობის გაღრმავება და რომის პაპის მფარველობის მოპოვება ერთგვარ იმედად და მექანიზმად მოეგლინა ქართველ მეფეებსა და მთავრებს, სასულიერო პირებსა თუ მოღვაწეებს, რომლებიც დასავლეთთან ფარული კავშირის დამყარებით ცდილობდნენ ირანის პოლიტიკური გავლენისგან თავის დაღწევის გზები ეპოვათ.

ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივი ამ მცდელობათა დამადასტურებელ არაერთ ისტორიულ წყაროს ინახავს.<sup>1</sup> მათ შორისაა

<sup>1</sup> რწმენის გამავრცელებელი კონგრეგაციის საისტორიო არქივი (ASPF), რომელიც 1622 წლიდან ყალიბდებოდა, არაერთ ფონდსა და კოლექციას მოიცავს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი ვრცელი ფონდი – Acta, Scritture riferite nei Congressi (SC) და Scritture Originali riferite nelle Congregazioni Generali (SOCG), რომლებიც კონგრეგაციის საქმიანობის სხვადასხვა შრეს ასახავს. საქართველოსთან დაკავშირებული მასალები არქივის პრაქტიკულად ყველა ფონდში (ACTA, SC, SOCG და სხვ.) გვხვდება; შედარებით სისტემურადაა ისინი თავმოყრილი SC-Giorgia კოლექციაში (7 ტომი; 1626-1863), რომლის მიღმაც ქართული მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია SOCG და ACTA ფონდებში; საქართველოსთან დაკავშირებული ეს მასალები სხვადასხვა საარქივო ტომსა და საქმეშია გაფანტული, რაც მათ გამოვლენასა და სისტემურ შესწავლას ართულებს; განსაკუთრებით მოცულობითაა SOCG ფონდი, რომელიც ურთიერთდაკავშირებულ დოკუმენტურ ნუსხებს აერთიანებს – კონგრეგაციის საერთო კრებებზე განხილული საკითხების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ SOCG ფონდის 1044 საარქივო ტომიდან მხოლოდ რამდენიმე იყო შესწავლილი ქართული კვალის მიკვლევის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში წარმოებული კვლევის მე-

გიორგი XI-ის, არქიეპისკოპოს ექვთიმე რატიშვილის, ბარძიმ ერისთავის, ვახტანგ VI-ის, ლევან ბატონიშვილის, დომენტი კათალიკოსის, მეფე ქაიხოსროსა თუ სულხან-საბა ორბელიანის წერილები რომის პაპისადმი, რომლებშიც ისინი მორჩილებას უცხადებენ პაპს და მფარველობას ევედრებიან. ამ წყაროთა დიდი ნაწილი მიკვლევული და გამოქვეყნებულია მკვლევართა მიერ,<sup>2</sup> თუმცა არქივში დაცული არაერთი დღემდე უცნობი და შეუსწავლელი დოკუმენტი ჯერ კიდევ ელის მზის სინათლეს.

მათ შორისაა პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში 2023-2024 წლებში მიკვლევული სამი უმნიშვნელოვანესი წყარო – ბაგრატიონთა

შეგობით. სწორედ SOCG ფონდის აქამდე დაუმუშავებელ ტომში მივაგენით სტატიამი განხილულ წერილებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული მასალის მოცულობიდან გამომდინარე, ქართული დოკუმენტების მიკვლევა თითქმის შეუძლებელია ფონდების შიდა ორგანიზაციისა და დაარქივების პრინციპების გათვალისწინებით შემუშავებული მიზნობრივი მეთოდოლოგიის გარეშე. დაწვრილებით პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული ქართული წყაროების შემცველი სერიებისა და ფონდების შესახებ იხ. მთვარელიძე et al. 2026, 6-97.

<sup>2</sup> პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცულ, ქართულ და საქართველოსთან დაკავშირებულ წყაროებზე მუშაობას ხანგრძლივი კვლევითი ტრადიცია აქვს. დოკუმენტების ნაწილი სხვადასხვა დროს მიკვლევული და გამოქვეყნებულია მ. თამარაშვილის, მ. თარხნიშვილის, ი. ტაბალუას, ჯ. ვათეიშვილის, მ. პაპაშვილის, ე. მამისთვალიშვილის, ზ. გამეზარდაშვილის და სხვათა მიერ. ბოლო წლებში აღნიშნულ მასალებზე აქტიურად მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი.

2022-2025 წლებში პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში ინტენსიური მუშაობა წარმართა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის (HE-22-2353 – „ვატიკანის Propaganda Fide-ს არქივში დაცული ქართული და საქართველოსთან დაკავშირებული წყაროების კვლევა“) მონაწილე მკვლევართა მიერ, რომელთა შორისაა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერითა და პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის უშუალო ჩართულობით განხორციელდა. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს საელჩო წმინდა საყდართან და თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდი, რომელთა ხელშეწყობით საარქივო კვლევას სამი წლის განმავლობაში ადგილზე ინტენსიურად აწარმოებდა ქართველ მკვლევართა ჯგუფი (თათია მთვარელიძე, თამარ კოშორიძე, ნინო დიანოსაშვილი, ნათია მიროტაძე, მარიამ შენგელია). საარქივო კვლევის შედეგად, მიკვლევულ იქნა აქამდე უცნობი და სრულიად შეუსწავლელი საარქივო მასალების მნიშვნელოვანი კორპუსი, მათ შორის – სხვადასხვა ფონდში დაცული უცნობი ქართული და უცხოეთოვანი დოკუმენტები. პროექტის ფარგლებში წარმოებული კვლევის შედეგები 2026 წელს გამოქვეყნდა ორტომიანი მონოგრაფიის სახით; აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან სტატიის ავტორი პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში კვლევას დამოუკიდებელი მკვლევრის სტატუსით აგრძელებს.

სამეფო სახლის წარმომადგენელთა მიერ 1707-1708 წლებში ისპაჰანიდან რომის პაპისადმი მიწერილი წერილები თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად: ერთ-ერთი მათგანის ავტორია ლევან ბატონიშვილი, რომელიც წერილს ხელს აწერს, როგორც ქართველთა მეფე და ირანის მსაჯული (ASPF, SOCG, vol. 564, f. 391); ლევან ბატონიშვილის ქართული წერილი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის ხელითა და ვახტანგ VI-ის მონაწილეობით დაიწერა და საიდუმლოდ გაიგზავნა რომში, თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად 2024-2025 წლებში გამოქვეყნდა (იხ. სოსიაშვილი და მთვარელიძე 2024, 36-49; 2025, 168-195). დანარჩენი ორი წერილი კი მის ვაჟებს – აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ დომენტი IV-სა და სპარსეთის მდივანბეგის ნაიბს, სპარსეთის სპასალარსა და ქართლის მეფეს – ქაიხოსროს ეკუთვნით. მათი არსებობის შესახებ ირიბი წყაროებიდან ფლობდა ინფორმაციას მიხეილ თამარაშვილი, რომელიც თავის მონუმენტურ ნაშრომში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ საზგასმით აღნიშნავდა: „პროპაგანდის ერთი შენიშვნიდან ჩანს, რომ გიორგი მეფის ძმას ლევანს, ერანის მსაჯულთ-უხუცესს, რომს მიუწერია, მსურს კათოლიკობას შევუერთდეო. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი წერილი დაკარგულია. ამიტომ მისი მეტი არაფერი ვიცით. ვფიქრობთ, რომ ეს წერილი უნდა იყოს გაგზავნილი რომს 1707 წ., იმავე დროს, როდესაც მისმა შვილებმა – დომენტი კათალიკოსმა და ქაიხოსრომ მისწერეს პაპს თავიანთი შეერთების სურვილი. არც ამათი წერილები გვაქვს. ხოლო ამათი ცოტა რამ ვიცით პროპაგანდის წერილებიდან“ (თამარაშვილი 1902, 305-306). როგორც ირკვევა, მიხეილ თამარაშვილი იცნობს, 1708 წლის 13 აგვისტოს კრების გადაწყვეტილებით, ისპაჰანის ვიკარიუსთან – ჯუზეპე მარია დი ჯეზუსთან გაგზავნილ წერილს, რომლითაც პროპაგანდა მისიონერს სთხოვს, ინფორმაცია მიაწოდოს დომენტის, ქაიხოსროსა და მისიონერი ბასილიუსის შესახებ. მეცნიერს ასევე ხელთ აქვს 1711 წლის 24 იანვრის კრების გადაწყვეტილებით, ქაიხოსროსა და დომენტისთან გაგზავნილი წერილები, რომელთა საფუძველზეც ვარაუდობს, რომ ლევანის, ქაიხოსროსა და დომენტის წერილები 1707 წელს უნდა გაგზავნილიყო რომში, თუმცა ისინი დაკარგულად მიაჩნია (თამარაშვილი 1902, 305-306). ამდენად, დომენტისა და ქაიხოსროს მიერ რომის პაპისადმი არა 1707, არამედ 1708 წლის იანვარში გაგზავნილი წერილები ახალ მასალას წარმოადგენს ქართული წყაროთმცოდნეობისთვის.

სტატიის მიზანია, სრული არქეოგრაფიული სურათის წარმოჩენით, სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანოს და საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის ამსახველი ეს ორი, აქამდე გამოუქვეყნებელი წყარო, თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად, რაც მნიშვნელოვნად წაადგება ქართულ-ევროპული ისტორიული ურთიერთობების კვლევის, საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციის საქმეს.

დომენტისა და ქაიხოსროს წერილები თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად მოთავსებულია SOCG ფონდის 563-ე ტომში.<sup>3</sup> წერილები შესრულებულია ლათინურ ენაზე, ფურცლები ძალიან დაზიანებულია და ურთულესად იკითხება, თუმცა მათი გაშიფრვა მაინც მოხერხდა. წერილებს თან ახლავს ფეხშიშველ კარმელიტთა ორდენის წარმომადგენლის, პატრი ბასილიუსის, <sup>4</sup> წერილი, რომლის კალიგრაფიითაცაა დაწერილი ქართველთა ლათინური ტექსტებიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ქაიხოსროსა და დომენტის წერილების ქართული დედნებიც არსებობდეს სადმე. SOCG ფონდის მომდევნო – 564-ე ტომში მოთავსებულია ლევან ბატონიშვილის წერილი საქართველოში მყოფი მისიონერის – ალესიო და მილანოს წერილთან ერთად, რომლებიც გასულ წელს სრულად გამოქვეყნდა.

საკვლევ თემასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალა წარმოდგენილია ერთმანეთთან შინაარსობრივად დაკავშირებული, კომპოზიციურად შეკრული „საქმის“ სახით. წყაროთა ძირითადი კორპუსი თავმოყრილია SOCG ფონდის 563-ე და 564-ე ტომებში, ასევე ACTA-ს 78-ე და მე-80 ტომებში. აღსანიშნავია, რომ ქაიხოსროსა და დომენტის საქმესთან დაკავშირებით აქამდე მხოლოდ რამდენიმე ირიბი წყარო იყო ცნობილი, მიხეილ თამარაშვილის წყალობით, ჩვენი საარქივო მუშაობის შედეგად კი გამოვლენილია ოცზე მეტი საარქივო

<sup>3</sup> ტომში თავმოყრილია კონგრეგაციის 1708 წლის 23 ივლისისა და 13 აგვისტოს კრებებზე განხილული საკითხები – საქმეებად.

<sup>4</sup> პატრი ბასილიუსი, იგივე – ბასილი ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტწილად იმითაა ცნობილი, რომ მან ბოლომდე უერთგულა ქაიხოსროს და ავღანელებთან ბრძოლაში მეფესთან ერთად დაიღუპა. ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტების წყალობით, პატრი ბასილიუსის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა ცნობილი, რაც ქვემოთაა წარმოდგენილი.

დოკუმენტი, რაც არსებითად აფართოებს საკითხის წყაროთმცოდნეობით საფუძველს და შესაძლებელს ხდის პროცესის სრულ, დოკუმენტირებულ რეკონსტრუქციას. ამ დოკუმენტთა დედნების აქ წარმოდგენა ცდება ჩვენი სტატიის მიზნებს, მით უფრო, რომ ყველა წყარო 2026 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაშია ასახული ქართულ თარგმანებთან და შესაბამის კომენტარებთან ერთად (იხ. მთვარელიძე et al. 2026). შესაბამისად, ქვემოთ წარმოვადგენთ დოკუმენტთა სრულ არქეოგრაფიულ სურათს, რომელიც, ვფიქრობთ, ერთობ საინტერესო საისტორიო ლანდშაფტს ქმნის XVIII საუკუნის პირველი დეკადის ქართულ-ევროპული ურთიერთობების ისტორიისთვის.

მიკვლევული დოკუმენტური კორპუსი მოიცავს შემდეგ წყაროებს:

- ლევან ბატონიშვილის 1707 წლით დათარიღებულ ქართულ წერილს პაპ კლემენტი XI-ისადმი, იტალიურ თარგმანთან ერთად (*SOCG, vol. 564, ff. 390r-391v*).
- ალესიო მილანელის ამავე წლის 1 აგვისტოთი დათარიღებულ წერილს იტალიურ ენაზე (*SOCG, vol. 564, ff. 393r-394r*).
- ლევან ბატონიშვილისა და ალესიო მილანელის წერილების თანმხლებ დოკუმენტებს – კონგრეგაციის კრების დასკვნას, იმავე – საქმის შეჯამებას ოქმის სახით და საარქივო ჩანაწერს (*SOCG, vol. 564, 385r-387v, 398r*).
- დომენტი კათალიკოსის, 1708 წლის 20 იანვრით დათარიღებულ, ლათინურ წერილს რომის პაპ კლემენტი XI-ისადმი (*SOCG, vol. 563, ff. 410r-411v*).
- ქაიხოსროს ამავე თარიღით გაგზავნილ წერილს რომის პაპთან, ლათინურ ენაზე (*SOCG, vol. 563, ff. 412r-414v*).
- კარმელიტი პატრი ბასილიუსის ამავე თარიღით წარმოდგენილ წერილს ლათინურ ენაზე (*SOCG, vol. 563, ff. 415r-417v*).
- ქაიხოსროსა და დომენტის საკითხის კონგრეგაციის კრებაზე განხილვის ამსახველ ოქმს, ე.წ. საქმის შეჯამებას (*SOCG, vol. 563, 404r-407v*).
- კარმელიტთა გენერალური პროკურატორის – ჯოვანი პაოლო და ტრინიტას წერილს იტალიურ ენაზე (*SOCG, vol. 563, ff. 408r-409v*).
- 1708 წლის 23 ივლისისა და 13 აგვისტოს კარდინალთა კრების მასალების ამსახველ ოქმს (*ACTA, vol. 78, ff. 462v-464v; 535v-540r*), შესრულებულს იტალიურ ენაზე.

- 1710 წლის 18 აგვისტოს კრებაზე განხილულ ჯუზეპე მარია დი ჯეზუს წერილის რეზიუმეს იტალიურ ენაზე (*ACTA 1710, vol. 80, ff. 365r-366v*).
- საინდექსო ჩანაწერს ჯუზეპე მარია დი ჯეზუსა და იეზუიტი პატრი ვილოტის წერილის შესახებ (*Index 1711.38.30*).<sup>5</sup>

ბუნებრივია, ზემოთ წარმოდგენილი საარქივო მასალა შემთხვევით ან ფრაგმენტულ კორესპონდენციას კი არ წარმოადგენს, არამედ XVIII საუკუნის პირველ დეკადაში ერთიან, ეტაპობრივად განვითარებულ დოკუმენტურ პროცესს ქმნის, რომლის რეკონსტრუქციაც SC, SOCG და ACTA ფონდებში მიმოხეული თემატური დოკუმენტების პარალელური ანალიზით ხდება შესაძლებელი. ამ პროცესის საწყისი ეტაპი უკავშირდება ლევან ბატონიშვილის 1707 წლის წერილს (SOCG, vol. 564, ff. 390r-391v): ისპაჰანში მყოფი ლევანის მიერ ხელმოწერილი ცარიელი ფურცელი იგზავნება თბილისში, რომელზეც ლევანის წერილის ტექსტს საკუთარი ხელით წერს სულხან-საბა ორბელიანი (ვახტანგ VI-სთან შეთანხმებით) და საიდუმლოდ გზავნის პაპ კლემენტი XI-სთან ალესიო მილანელის მეშვეობით. აღნიშნული წერილით, ლევან ბატონიშვილი პაპს მოუთხოვს საკუთარ ამბავს, მისი ქვეყნის მძიმე მდგომარეობის ფონზე თავს დატეხილ ათასგვარ უბედურებას, სთხოვს მიტევაბას მაჰმადის რჯულზე გადასვლის გამო, ევედრება, მიიღოს სამწყსოში და ნება დართოს ფარული ქრისტიანი იყოს, ვინაიდან მისი მრწამსის განცხადება მძიმედ აისახება მასზეც და მის გარემოცვაზეც. იგი ასევე სთხოვს პაპს, სულის შემწედ ერთი სასულიერო პირი მოუვლინოს ისპაჰანში, რომელიც ფარულად შეძლებს მის დახმარებას. ამ წერილის მნიშვნელობა, ცხადია, სცდება ინდივიდუალურ სარწმუნოებრივ განცხადებას: ალესიო მილანელის თანხლები წერილი (SOCG, vol. 564, ff. 393r-394r) ცხადყოფს, რომ იგი წარმოადგენს, ფაქტობრივად, ერთობლივ ტექსტს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც მისიონერები, ისე ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები (სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI).

<sup>5</sup> ნაგულისხმები წერილი – ჯუზეპე მარია დი ჯეზუსა და პატრი ვილოტის ავტორობით, ჯერ-ჯერობით ვერ მოვიპოვეთ, თუმცა ვფიქრობ, ეს წყაროები სხვა მასალებთან (მათ შორის, დომენტისა და ქაიხოსროსადმი პროპაგანდას პასუხებთან) ერთად, წარმოდგენილი უნდა იყოს 1711 წლის 24 იანვრის კრების ამსახველ ტომში.

ამავე პროცესის მეორე ფაზას წარმოადგენს მომდევნო – 1708 წლის 20 იანვრით დათარიღებული დოკუმენტური კომპლექსი – მეფე ქაიხოსროსა და დომენტი კათალიკოსის წერილები, პატრი ბასილიუს დი სან კარლოს რელაციონესთან ერთად, რომლებიც კვლავ ისაბანინიდან იგზავნება რომში. აქ დოკუმენტური სურათი მნიშვნელოვნად ფართოვდება: ინდივიდუალური მიმართვა ერთგვარ პოლიტიკურ განაცხადადაც წარმოგვიდგება, რომელშიც ქართლის მმართველი ფენის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ჩართული.

ამ კომპლექსის შემადგენელი დოკუმენტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დომენტი კათალიკოსის წერილი; ავტორი კათოლიკურ მრწამსს აღიარებს არა მხოლოდ როგორც კერძო პირი, არამედ როგორც ინსტიტუციური სუბიექტი – აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ვახტანგ VI-ის ძმა და უახლოესი პოლიტიკური გარემოცვის წევრი.<sup>6</sup> იერუსალიმში მიღებული განათლება, მრავალწლიანი მოგზაურობა და გამოცდილება, ევროპულ სივრცესთან მჭიდრო კონტაქტები (მათ შორის ანთიმოზ ივერიელთან ურთიერთობა) და სტამბის დაარსების საქმეში ჩართულობა, ისევე როგორც მისი ინიციატივით განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, ცხადყოფს, რომ იგი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის იმ ინტელექტუალური პროცესების სათავეში იდგა, რომელიც ქართული ეკლესიის ფუნქციურ გარდაქმნასა და ცოდნის გადაცემის ახალი ფორმების დანერგვას ცდილობდა (პაპაშვილი 1995, 240-241).

<sup>6</sup> დომენტი კათალიკოსი (დაახლ. 1676/1677-1741) – ლევან ბაგრატიონისა და თუთა გურიელის ძე, ვახტანგ VI-ის ძმა და აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1704/1705-1741). აღიზარდა სასულიერო გარემოში, 1689 წელს იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში აკურთხეს იეროდიაკონად, სადაც დაახლოებით ათი წელი დაჰყო. მოგზაურობდა აღმოსავლეთსა და ევროპაში, მათ შორის – ვლახეთში ანთიმოზ ივერიელთან ერთად; შემდგომ რუსეთში იმყოფებოდა მეფე არჩილის კარზე და ჩართული იყო ქართული სტამბის საქმიანობაში; საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის რეფორმებში, მათ შორის – თბილისის სტამბის დაარსებასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში (იხ.: ქავთარია 2002, 119-123; აღიზარაშვილი 2013, 88-119). იოანე ბატონიშვილი მას ამგვარად ახასიათებს: „მამა დომენტი კათალიკოსი ... იყო მონაწილეობით სრული, მეცნიერი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ამასთან მყუდრო, მშვიდი და მდაბალი, და ფრიად მლოცავი, პოლეთიკისა შინაგა კარგი ესრეთ, რომელ მტრენიცა მისნი ჰყვარობდნენ. და მრავალგზის დაშვრა ეს ქართველთათვის ყაენთან თუ ხონთქართან გავგავნით. და ესრეთ კეთილად დაასრულა ცხოვრება თვისი“ (იოანე ბატონიშვილი 1948, 167).

დომენტი კათალიკოსის რელიგიურ იდენტობასა და პოლიტიკურ ამბიციებთან დაკავშირებით მის ეპოქაშივე არსებობდა ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები, რასაც საისტორიო წყაროებიც ადასტურებს და რაც ქართულ მეცნიერებაშიც საკამათო საკითხად გვევლინება. მკვლევართა ერთი ნაწილი ეყრდნობა მისიონერთა ცნობებს იმასთან დაკავშირებით, რომ დომენტიმ მაჰმადიანობა მიიღო და ქართლის ტახტის დაუფლებას ეცადა (დონდუა 1967, 154; კუპატაძე 1997, 251-258 და სხვ.), რასაც ქართველ მეცნიერთა მეორე ნაწილი ანეკდოტურ ცნობად მიიჩნევს და კათოლიკე მისიონერთა „ფანტაზიის“ ნაყოფად თვლის (პაიჭაძე 1981, 32; ალიმბარაშვილი 2013, 100; ქავთარია 2002, 109 და სხვ.).<sup>7</sup> ამის საპირწონედ, ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილი დომენტის გაკათოლიკების სურვილს, გამაჰმადიანებისგან განსხვავებით, ეჭვქვეშ არ აყენებს, თუმცა, მეტწილად, პოლიტიკური პროცესებიდან გამოწვეულ იძულებით ნაბიჯად მიიჩნევს (ქავთარია 2002, 123), რასაც რომის კურიის მიერ დომენტის სანდლობასთან დაკავშირებით გამოთქმული ეჭვიც ადასტურებს. დომენტი კათალიკოსის მიმართ რწმენის გამავრცელებელი წმინდა კონგრეგაციის მხრიდან ფრთხილი დამოკიდებულება პოქმაში – „კათალიკოს-ბაქარიანი“ ერთობ სკაბრეზულად წარმოგვიდგება თავად დომენტი კათალიკოსის დამოკიდებულება კათოლიკობის მიმართ.<sup>8</sup> შესაბამისად, დომენტი კათალიკოსის ფიგურის

<sup>7</sup> როგორც ახლად მიკვლეული საარქივო მასალიდან ირკვევა, დომენტის გამაჰმადიანებისა და ქართლის ტახტის ხელში ჩაგდების მცდელობის შესახებ მისიონერთა ცნობების წყაროდ სრულიად სამართლიანად ასახელებს ვ. დონდუა სულხან-საბა ორბელიანს (იხ. დონდუა 1967, 153). სულხან-საბა ორბელიანის აქამდე უცნობ ერთ-ერთ წერილს, რომელსაც სტატიის ავტორმა პროპაგანდა ფიქტს არქივში მიაკვლია, თან ახლავს დანართი, რომელიც წარმოადგენს თარგმანს ამონარიდებისა იმ წერილებიდან, სულხან-საბა ორბელიანს 1715 წელს კონსტანტინოპოლში ყოფნისას საქართველოდან მისი ძმებისგან რომ მიუღია. სწორედ ამ დანართშია მოთხრობილი დომენტი კათალიკოსის გამაჰმადიანებისა და ქართლის ტახტის ხელში ჩაგდების მცდელობის ამბავი. ვფიქრობთ, ამ ფონზე სულხან-საბას მიერ რომში გაგზავნილ წერილში ასახული ინფორმაციის სანდობაზე კამათი უფრო „ანეკდოტური“ იქნება, ვიდრე დომენტი კათალიკოსის შესახებ მისიონერთა „ფანტაზიები“. აქვე აღვნიშნავთ, რომ სულხან-საბა ორბელიანის დასახელებული წერილები თანმხლებ წყაროებთან ერთად უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება სტატიის ავტორის მიერ.

<sup>8</sup> „ეშმაკი ეუბნებოდა: საფრანგეთი სჯობს ამასო, / რა სჯობს იქაურ წესებსა, გაცხოვნებთ იმავ წამასო, / ბაღში სიარულს ნიადაგ, დილაზე ვარდთა ნამასო. / სულ ტყუის, ძაღლმა მი[...]ვა იმის პაპას და მამასო“ (ტლაშაძე 1907, 34).

ირგვლივ არსებული წინააღმდეგობრივი ცნობებისა და შეფასებების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი ეს აქამდე უცნობი წერილი, რომელიც მისი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური პოზიციის შესახებ საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

*დომენტი კათალიკოსის წერილი* (ASPF, SOCG, vol. 563, f. 410r-411v) ტრადიციული შესავლით იწყება – ავტორი აღიარებს რომის ეკლესიის პირველობას და პაპის – როგორც წმინდა პეტრეს კანონიერი მემკვიდრისა და ქრისტეს ეკლესიის თავის უზენაეს ავტორიტეტს.<sup>9</sup> იგი მიუთითებს, რომ საქართველოში გავრცელებულია ბერძნული წესის მსგავსი პრაქტიკა და იქვე აღნიშნავს, რომ ქართველებიც და ბერძნებიც ვალდებული არიან, დაემორჩილონ რომის ეკლესიასა და მის სწავლებას.<sup>10</sup> განსაკუთრებით საყურადღებოა წერილში წარმოდგენილი ამგვარი ფორმულირება: მორწმუნებმა უნდა ირწმუნონ ის, რასაც ეკლესია ავალდებულებს მსოფლიო კრებების საფუძველზე, „რომლებშიაც აღმოსავლეთის ეკლესიები ერთობაში იყვნენ“,<sup>11</sup> რაც კათოლიკოსის მიმართ ავტორის დიპლომატიურ, ეკუმენურ ტრადიციამზე დაფუძნებულ პოზიციას გამოხატავს. წერილის შემდეგ ნაწილში დომენტი კათალიკოსი არსებულ ვითარებას სარწმუნოებრივი და პოლიტიკური სირთულეებით განპირობებულ მდგომარეობად წარმოაჩენს: აღიარებს, რომ პირადად რომის ეკლესიისადმი მორჩილებისკენაა მიდრეკილი, თუმცა კათოლიკური მრწამსის საჯაროდ აღიარებისა და ქადაგების შესაძლებლობა მას არ აქვს.<sup>12</sup>

მომდევნო მონაკვეთში კათალიკოსი აღწერს როგორც საერთო პოლიტიკურ, ისე პირად მდგომარეობას: იგი საკუთარ თავს წარადგენს

<sup>9</sup> „Vestra Sanctitas est caput Ecclesiae, Vicarius Summus Pontifex [a quo] dependunt omnes alii Pontifices, Patriarchae, et [...] hoc scio et pateor“ (ASPF, SOCG, vol. 563, f. 410r).

<sup>10</sup> „Nos in Georgia ritum habemus quasi Graecorum, et scio quod illi et nos deb[emus] obedire vestra Sanctitati“ (Ibid.).

<sup>11</sup> „...quid iubet ipsa fidelibus credere... Sacra Sancta Oecumenica concilia in quibus Ecclesiae Orientales fuerunt unitae“ (Ibid.).

<sup>12</sup> „...inclino ad obediendum Vestrae Sanctitati et doctrinis Ecclesiae Romanae; licet hoc non sit totaliter in manibus meis huiusmodi credere et aliis praedicare“ (Ibid. f. 410v).

ძმად ხოსრო-მირზას<sup>13</sup>, რომელიც შაჰის კარზე მაღალი სტატუსით სარგებლობს.<sup>14</sup> აქვე აღნიშნავს, რომ თავადაც არ უჩივის სამეფო კეთილგანწყობას. თუმცა იქვე მიუთითებს, რომ საქართველოში მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რომელთაც ვერ უმკლავდებოდა<sup>15</sup> და ამიტომაც გახდა იძულებული, შაჰთან წასულიყო საკუთარი უფლებების განმტკიცების იმედით. ამავე დროს, ქართველი პატრიარქი სწუხს იმაზე, რომ შაჰი მას აიძულებს, სარწმუნოება შეიცვალოს, რასაც იგი მტკიცედ ეწინააღმდეგება;<sup>16</sup> დომენტი აღნიშნავს, რომ ვერ ახერხებს ირანიდან თავის დაღწევას შაჰის ნებართვის გარეშე, ვინაიდან ამჟამად მას არ გააჩნია საკმარისი ძალაუფლება ან შესაძლებლობა საამისოდ. მიუხედავად ამისა, აცხადებს, რომ ყველა ღონეს იხმარს თავის გამოსხნისთვის და, თუ შეძლებს, აუცილებლად გაემგზავრება რომში, რათა პაპის წინაშე პირადად აღიაროს საკუთარი მრწამსი.<sup>17</sup>

დომენტი კათალიკოსი წერილს ამთავრებს პაპისადმი მიმართვით: სთხოვს, არ ენდოს პატრიარქის შესახებ უკვე გავრცელებულ უარყოფით ცნობებს და პირადად მის სიტყვებს მიაქციოს ყურადღება.<sup>18</sup> პატრიარქი ხაზგასმით აცხადებს, რომ მზად არის, სიცოცხლის ბოლომდე გაუწიოს წინააღმდეგობა შაჰის ბეწოლას, ვინაიდან არასოდეს განუდგება ქრისტიანულ სარწმუნოებას.<sup>19</sup> ამასთან, გამოხატავს სურვილს, ღირსეულად, დაბრუნდეს საქართველოში და, შესაძლებლობების ფარგლებში, ი განამტკიცოს ქრისტიანობა და კათოლიკური სარწმუნოება; ხოლო, თუ საფრთხე დაემუქრება, მზად არის წავიდეს რომში და თავშესაფარი სთხოვოს პაპს.<sup>20</sup> წერილი სრულდება პირადი ერთგულების დადასტუ-

<sup>13</sup> ხოსრო მირზად მოხსენიებულია ქაიხოსრო.

<sup>14</sup> „...sum frater secundus de Cosro mirza... qui hic est in favore Regis et iudex istius civitatis.“ (Ibid.)

<sup>15</sup> „...in Georgia habui plurimos adversarios... qui commoverunt populum contra me...“ (Ibid.).

<sup>16</sup> „Sed Rex eclecticissimus pro sua religione Maometana urget ut mutem meam religionem cui fortiter resisto“ (Ibid.)

<sup>17</sup> „Non possum fugae nec ex hinc abire absque licentia Regis... si potero me liberare, veniam pro certo ... ad pedes Sanctitatis Vestrae, ad fidei professionem faciendam in manibus suis“ (Ibid.)

<sup>18</sup> „Sed Vestra Sanctitas non credat eis, sed potius meis verbis“ (Ibid.)

<sup>19</sup> „Hic resistam usque ad mortem Regi Persarum et numquam apostatabo a sancta et vera mea religione christiana.“ (Ibid. f. 411r)

<sup>20</sup> „Si cum honore potero in Georgiam revolare, ibi favebo christianis et catholicis

რებითა და პაპისგან კურთხევის თხოვნით. წერილს ახლავს დომენტი კათალიკოსის ხელრთვა, რომელშიც ქართულად იკითხება „დომენტი“.

*ქაიხოსროს*<sup>21</sup> წერილი (ASPF, SOCG, vol. 563, ff. 412r-414v) ახლად მიკვლეული დოკუმენტური კომპლექსის მეორე უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. დომენტის ტექსტისგან განსხვავებით, მისი წერილის ტექსტი მეტწილად აგებულია პირადი სარწმუნოებრივი ბიოგრაფიისა და პრაქტიკული თხოვნის (supplica) მოდელზე. წერილის პირველ ნაწილში ქაიხოსრო აღნიშნავს, რომ იგი ქრისტიანი ქართველი მთავარი იყო, თუმცა, სპარსელთა გავლენით, განუდგა სარწმუნოებას. მოგვიანებით, ღვთის წყალობითა და კარმელიტი მისიონერის – პატრი ბასილიუსის ზეგავლენით, კვლავ შეიწყო ქრისტეს ჭეშმარიტება, უარყო ისლამი და ოფიციალურად აღიარა კათოლიკური მრწამსი.<sup>22</sup> აქვე ხაზგასმით აცხადებს, რომ მზად არის, სიცოცხლის ბოლომდე დარჩეს რომის ეკლესიის მორჩილებაში და, საჭიროების შემთხვევაში, ერთგულება საკუთარი სისხლითაც დაამტკიცოს.<sup>23</sup> თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ვინაიდან შაჰის სამსახურში მყოფი საჯარო მოხელეა, იძულებულია, გარეგნულად მუსლიმად დარჩეს, ამიტომ ვერ ახერხებს თავისი რწმენის გამოვლენას.<sup>24</sup> ამტკიცებს, რომ ადამიანი არ არის ვალდებული, ყოველთვის საჯაროდ აღიაროს საკუთარი რწმენა, თუ ამას მძიმე შედეგები მოჰყვება; ასეთ შემთხვევაში დასაშვებია თავის მოჩვენება ან სიმართლის დამალვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მძიმე შედეგები.<sup>25</sup>

---

in quantum potero pro viribus meis; si me videant hic periclitari, quodum modum discedendi [?] et ad ostia Sanctitatis Vestrae veniam“ (Ibid.)

<sup>21</sup> ქაიხოსრო I (1674–1711) – ქართლის მეფედ ითვლებოდა 1709–1711 წლებში, თუმცა იმუშადა ის სპარსეთსა და ავღანეთში იმყოფებოდა. შაჰინშაჰმა ქაიხოსროს საგამგეოდ უბოძა ქალაქები – თავრიზი და ბარდა, რაც დიდ პატივს ნიშნავდა. 1711 წლის 17 სექტემბერს, ქაიხოსრო I ავღანეთის ქალაქ ყანდაპარზე იერიშის დროს დაიღუპა. იგი კათოლიკეთა დიდი შემწე იყო, რასაც არაერთი ცნობა მოწმობს.

<sup>22</sup> „olim christianus, Georgianus princeps, delusus a Persarum... a fide apostatavi... suasionibus ac consiliis Patris Basilii Carmelitae denuo patens veritati religionis christianae, et de vanitate sectae Mahumetidis abjurans...“ (Ibid. f. 412r).

<sup>23</sup> „fidem Romanae Ecclesiae proprio meo sanguine confirmare“ (Ibid.)

<sup>24</sup> „cum autem sim hic iudex publicus ex parte Regis, et apparenter et interne Turca (nam non teneor absolute me prodere, cum possim fingere et silere, non interrogatus)“ (Ibid.)

<sup>25</sup> „si illum aliquando audiret (quod Deus avertat)“; „coram Rege non possum illum diffundere“ (Ibid. f. 412v).

ქაიხოსრო საკმაოდ ვრცლად საუბრობს პირად ცხოვრებასა და თავის სამართლებრივ მდგომარეობაზე: აღნიშნავს, რომ ისლამის მაღიარებლობის დროს რამდენიმე ცოლი ჰყავდა, თუმცა ქრისტესთან დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ერთი მათგანი აირჩია და ახლა პაპს ამ ცოდვის მიტევებასაც სთხოვს. მიუთითებს, რომ ამჟამად იგი სპარსეთის მეფის კარზე იმყოფება, ასევე აქვს მაღალი თანამდებობა, რის გამოც მუდმივი თვალთვალისა და ზეწოლის ქვეშაა. ასეთ პირობებში, მისი თქმით, შეუძლებელია, ღიად გამოხატოს თავისი სარწმუნოებრივი პოზიცია, რადგან ეს პირდაპირ საფრთხეს შეუქმნის როგორც მას, ისე მის გარემოცვას.<sup>26</sup>

წერილის ბოლოს, ავტორი მიმართავს პაპს თხოვნით, მისცეს უფლება, დარჩეს ფარულ ქრისტიანად და საიდუმლონი ფარულად მიიღოს, ასევე მიტევება, პასუხი და მისი უმაღლესობის გამოსახულებით მედალიონი უბოძოს; მის ძმას – დომენტის კი თავშესაფარი მისცეს რომში და, საჭიროების შემთხვევაში, მასაც მისცეს თავშესაფარი.<sup>27</sup>

აღსანიშნავია, რომ ქაიხოსრო წერილს ხელს არ აწერს, თუმცა ქართულად ადასტურებს ფრაზით: „ქ: მოსავი: ქ`ესი: ვამტკიცებ: ამას: ნებითა: ღმერთისათა“ (SOCG, vol. 563, f. 413v).

დომენტი კათალიკოსისა და ქაიხოსროს ეს წერილები პროპაგანდამ კარმელიტი მისიონერის – პატრი ბასილიუს დი სან კარლოს საშუამდგომლო წერილთან ერთად მიიღო. პატრი ბასილიუსის ეს წერილი ერთგვარ რელაციონეს წარმოადგენს ქართველ მთავართა მდგომარეობის შესახებ. წერილი ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს სპარსეთში მისიონერთა საქმიანობის, ადგილობრივ ქრისტიანთა ვითარებისა და მოსალოდნელი შედეგების თაობაზეც.

*პატრი ბასილიუს დი სან კარლოს წერილი* (SOCG, vol. 563, ff. 415r-417v) სპარსეთში მისიონერთა მოღვაწეობის შედეგების წარმოჩენით იწყება. პატრი აღნიშნავს, რომ, სპარსული ენის ცოდნის წყალობით,

<sup>26</sup> „Ego autem coram Rege hic accedens sum cum tui meditatione, timore tamen quod aliquando succumbat; coram Rege non possum illum diffundere [...] particulari multum illum pro eorum suum affectione“ (Ibid. f. 413r).

<sup>27</sup> „mihi concedat ac impertire largam facult[atem] ad ... plenariam remissionem peccatorum meorum.... V. Sanctitatem Apostolicam habere recursum“ (Ibid. f. 413v)

შეძლო ურთიერთობის დამყარება როგორც სპარსელ დიდებულებთან, ისე – მეფის ნათესავეებსა და პროვინციების მმართველებთან.<sup>28</sup> მათთან გამართული საუბრებისა და თეოლოგიურ-ფილოსოფიური დისკუსიების შედეგად კი მათზე გარკვეული სულიერი ზეგავლენაც მოახდინა. ამ მხრივ, განსაკუთრებულია მისი კავშირი ქაიხოსროსთან, იგივე ხოსრო მირზასთან – ქართველ დიდებულთან, რომელსაც მისიონერი ლეონ მირზას ვაჟად და მეფის შემცვლელად მოიხსენიებს.<sup>29</sup> პატრი ბასილი აღნიშნავს, რომ ხოსრო მირზამ მასთან ფარულ საუბრებში გაამხილა თავისი სულიერი მდგომარეობა და აღიარა, რომ წლების წინ ქრისტიანობას სპარსეთის შაჰის გავლენითა და მიწიერი სიკეთეების მოლოდინით ჩამოშორდა.<sup>30</sup> მოგვიანებით ამის გამო ძალიან ინანა და საიდუმლოდ დაუბრუნდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. პატრი წერს, რომ მან ფარულად მიიღო ქაიხოსროს აღსარება და აზიარა კიდევ, რადგან ქართველი მთავრის კვლავ გაქრისტიანების გამჟღავნება ორივეს სიცოცხლისთვის საშიში იქნებოდა.<sup>31</sup> აქვე მითითებს, რომ ქართველი დიდებული ქრისტიანულადაა აღზრდილი და შესაბამისი ქრისტიანული ცოდნაც აქვს საქართველოში მოღვაწე კაპუცინი მისიონერების წყალობით.<sup>32</sup>

წერილის ავტორი აღწერს საქართველოს, ანუ იბერიას, როგორც ძალზე ნაყოფიერ ქვეყანას, რომელიც შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს.<sup>33</sup> იგი ჩამოთვლის საქართველოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა რეგიონსა თუ ქალაქს და აღნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებს თავდაპირველად საკუთარი მეფეები, შემდგომში კი – მთავრები ჰყავდათ.<sup>34</sup> მოგვიანებით, თურქებისა და სპარსელების ზეწოლის შე-

<sup>28</sup> „propter medicam meam capacitatem linguae Persicae plures ad me concur[erunt] etiam de principi alioribus Persis [irano] et consanguinis Regis [vel] gubernatoribus Provinciarum (SOCG, vol. 563, f. 415r).

<sup>29</sup> Cosro mirza filius Leonis mirza olim princeps absolutus [civi]tatis Georgiae fuit electus Vice Rex in absentia Regis“ (Ibid.)

<sup>30</sup> „devinctus a Rege Persarum et sollicitatu[s] divitiis, honoribus, mulieribusque a christiana religio[ne] apostataverat“ (Ibid.)

<sup>31</sup> „nam [esset] pro illo et pro me poena vitae“ (Ibid.)

<sup>32</sup> „instructus in religione christiana a RR. PP. capuccinis in Georgia:“ (Ibid.)

<sup>33</sup> Georgia vel Iberia est terra fertilissima inter mare Pont Euxin et mare caspie.: divisa in variis Provinciis (Ibid. f. 415v).

<sup>34</sup> „qui habuit suos reges et postea suos principes“ (Ibid.)

დეგად, ეს მიწები ორ ძალას შორის გადანაწილდა და, საბოლოოდ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა.<sup>35</sup> წერილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბაგრატიონთა ოჯახს, რომლის წარმომადგენლებიც სპარსეთის სამეფო სამსახურში მაღალ თანამდებობებზე მსახურობდნენ. ლეონ მირზა (ლევან ბატონიშვილი) მოხსენიებულია, როგორც სამეფო სასამართლოსა და დავების უმაღლესი ხელმძღვანელი (მსაჯული), ხოსრო მირზა (ქაიხოსრო) – შაჰის მეორე მრჩეველი და სპარსეთის სამეფოს არისტოკრატიის წინამძღოლი, ხოლო გოვერგინ ხანი (გიორგი XI) – მთელი სპარსეთის სამეფოს ჯარების მთავარსარდალი.<sup>36</sup>

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ქართველი დიდებულები, დაახლოებით, ოცი წლის განმავლობაში მაჰმადიანები იყვნენ.<sup>37</sup> მიუთითებს, რომ ლეონ მირზას შვილები მნიშვნელოვან თანამდებობებზე იმყოფებიან: ერთ-ერთი მათგანია ზემოთ მოხსენიებული ხოსრო მირზა, მეორე – საქართველოს პატრიარქი (დომენტი), მესამე – მისი ვიკარიუსი, ხოლო მეოთხე – თბილისის მმართველი და ამ პროვინციის მეფისნაცვალი (ვახტანგ VI).<sup>38</sup> ავტორი წერს, რომ ხშირად ურთიერთობს ქართველ და სპარსელ დიდებულებთან, სამეფო კარის წარმომადგენლებთან და მათთან რელიგიურ საკითხებზე საუბრობს. პატრი გამოთქვამს სურვილს, რომ ისინი ქრისტიანობაზე მოექცნენ და „ერთი სამწყსოსა და ერთი მწყემსის“ ქვეშ გაერთიანდნენ,<sup>39</sup> თუნდაც ამისთვის საკუთარი სიცოცხლისა და სისხლის გაღება დასჭირდეს. მისიონერი ახასიათებს სპარსელებს, როგორც გონიერ, განათლებულ, კამათის მოყვარულ, მაგრამ, ამავე დროს, თავიანთ სარწმუნოებაში ძლიერ გამაგრებულ ხალხს. მიუხედავად მათი ნიჭისა და კულტურუ-

<sup>35</sup> „turcae ex una parte, Persae ex altera subiugaverunt illas Provincias“ (Ibid.)

<sup>36</sup> „Leo mirza est praesidens tribunalis o[mn]i[u]m litium et totius consiliariis Regis: mirza Kan est secundus consiliarius Regis et supremus totius nobilitatis Regni Persidis: Gowerghin Kan est generalissimus omnium exercituum totius Regni“ (Ibid.)

<sup>37</sup> „omnes a 20 annis in circa fuerunt mahometani“ (Ibid.)

<sup>38</sup> „Leo mirza habet varios filios, Primus est cosro mirza supra nominatus, 2<sup>us</sup> est Patriarcha Georgiae, 3<sup>us</sup> est eius vicarius generalis, 4<sup>us</sup> est gubernator Civitatis Teflis in Georgia hic est vice Rex istius provinciae“ (Ibid.)

<sup>39</sup> „utinam omnes essent in uno ovili et sub uno Pastore!“ (Ibid.)

ლობისა, ავტორი პესიმისტურად აფასებს მათ ქრისტიანობაზე მოქცევის შესაძლებლობას და აღნიშნავს, რომ ამის იმედი მცირეა.

პატრი ბასილი ასევე ყურადღებას ამახვილებს სომხებზე და მათ მოქცევასთან დაკავშირებულ ენობრივ და სხვა სახის სირთულეებზე, რის გამოც ითხოვს ახალგაზრდა მისიონერთა გაგზავნას სპარსეთის იმპერიაში. აქვე ახსენებს ქართულ ენაზე არსებულ ქრისტიანულ ტექსტებს, განსაკუთრებით – ეპისტოლეებს,<sup>40</sup> რომლებსაც მისიონერები იყენებენ, და აღნიშნავს, რომ საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისა და განმტკიცების იმედი არსებობს, რისი მიღწევაც მხოლოდ განათლებული და კარგად მომზადებული მისიონერების მეშვეობითაა შესაძლებელი.

ზემოთ წარმოდგენილი ეს სამი წერილი პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის საერთო კრებამ 1708 წლის 23 ივლისს განიხილა, საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო და საჭიროდ მიიჩნია საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოძიება სამივე წერილის ავტორის შესახებ. სწორედ ამიტომ, 23 ივლისის კრების ამსახველი მასალების შემცველ ტომში დომენტისა და ქაიხოსროს საქმის მხოლოდ სარეგისტრაციო დოკუმენტია წარმოდგენილი, შემდეგი მითითებით: „*qui manca l'intiera Ponenza*“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქმის განხილვა 1708 წლის 13 აგვისტოს კრებისთვის გადაიდო და შესაბამისი დოკუმენტაციაც მომდევნო კრების მასალების ამსახველ საარქივო ტომში განთავსდა.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციამ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება კარმელიტთა ორდენის გენერალურ პროკურატორს – ჯოვანი პაოლოს სთხოვა, რომელმაც მომდევნო კრებამდე მოახერხა სათანადო ცნობების მიწოდება კარდინალებისთვის. 1708 წლის 13 აგვისტოს პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციამ კიდევ ერთხელ განიხილა ქაიხოსროს, დომენტისა და პატრი ბასილიუსის წერილები, პროკურატორ ჯოვანი პაოლოს მიერ გამოგზავნილ მოხსენებასთან ერთად, რომელშიც პატრი ბასილიუსის

<sup>40</sup> „*quod noster liber Bibli[a]e Ecclesiastici Epistolarum Georgicis et confessione Christiani*“ (f. 516v).

პიროვნების დახასიათებაა წარმოდგენილი. ჩვენი დოკუმენტური კომპლექსის შემდეგი წყარო სწორედ ეს წერილია, რომელიც ქაიხოსროს, დომენტისა და პატრი ბასილიუსის წერილებთან და თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად 1708 წლის 13 აგვისტოს კრების მასალების ამსახველ 563-ე ტომშია დაცული (SO CG, vol. 563, ff. 415r-417v).

*კარმელიტთა გენერალური პროკურატორის – ჯოვანი პაოლო და ტრინიტას იტალიური წერილის მიხედვით, წარმოშობით ფრანგი, პატრი ბასილიუსი დაახლოებით 45 წლისაა. იგი პარიზში აღიკვეცა ბერად და იქვე მიიღო თეოლოგიური განათლება. 1693 წელს რომში, სან პანკრაციოს სემინარიაში ჩაირიცხა, სადაც არაბულ ენას სწავლობდა. 1694 წელს პატრი ბასილიუსი სპარსეთის მისიაში გაემგზავრა და, უკვე ცამეტი წელია, იქ მოღვაწეობს. ჯოვანი პაოლო მას ახასიათებს როგორც ნიჭიერ, გონიერ, კეთილშობილ და გულმოდგინე მისიონერს, რომელიც „სულთა გამობნისთვის“ იღვწის და რომლის მიმართაც არასდროს არანაირი საყვედური არ გამოთქმულა. თუმცა პროკურატორი იქვე მიუთითებს მისი ხასიათის ერთ ნიშან-თვისებაზე – გულუბრყვილობაზე და აღნიშნავს, რომ პატრი ბასილიუსი ადვილად ენდობა ადამიანებს, რის გამოც ხშირად მეტად რთულ და სარისკო საქმეებში ერთვება. დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, კარმელიტთა გენერალური პროკურატორი წყაროდ ასახელებს უგონე დი სან დიონისიოსა და პატრ ჯუზეპე მარია დი ჯეზუს, რომელიც 1708 წლის 19 მაისს რომიდან გაემგზავრა ირანში და პროვინციის ვიკარიუსად მსახურობს (SO CG, vol. 563, f. 409).*

მართლაც, 1708 წლის 13 აგვისტოს კრების გადაწყვეტილებით, კონგრეგაციისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება პატრ ჯუზეპე მარია დი ჯეზუს დაევალა. ამ გადაწყვეტილების ამსახველი ოქმი, ე.წ. საქმის შეჯამება, ჩვენი დოკუმენტური კომპლექსის მომდევნო დოკუმენტია, რომელშიც დომენტისა და ქაიხოსროს საქმე იმ ეტაპისთვის სრულადაა წარმოდგენილი. თავისთავად ცხადია, 1708 წელს ქაიხოსროსა და დომენტის საკითხის ორსავე კრებაზე განხილვის შედეგები, ოფიციალური ოქმის სახით, აისახა შესაბამის საარქივო სერიაში (ACTA, vol. 78, ff. 462v-464v; 535v-540r), რაც ასევე ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტური კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

კრების ოქმში – შეჯამებაში (SOCC, vol. 563, 404r-407v) მოკლედაა წარმოდგენილი დომენტის, ქაიხოსროსა და პატრი ბასილიუსის წერილების შინაარსი, რის შემდეგაც მოტანილია დასკვნა პატრი ჯუზეპე მარია დი ჯეზუსგან დამატებითი ინფორმაციის საიდუმლოდ მიღების თაობაზე. ამ დასკვნის ამსახველი წერილი, რომელიც კონგრეგაციამ ჯუზეპე მარია დი ჯეზუს 1708 წლის 13 აგვისტოს მისწერა, გამოქვეყნებულია მიხეილ თამარაშვილის მიერ (თამარაშვილი 1902, 306-307).

შესაბამისად, დომენტისა და ქაიხოსროსთვის პასუხების გაგზავნა საქმის დამატებითი მოკვლევისა და ხელახალი განხილვის დასრულებამდე გადაიდო, რის გამოც ქართველ მთავართან და პატრიარქთან რომის ოფიციალური პასუხი მხოლოდ 1711 წელს მომზადდა. ამ პროცესის პარალელურად, 1708 წლის 20 ნოემბრის კონგრეგაციის კრებაზე განიხილეს ლევან ბატონიშვილის ზემოხსენებული წერილი. საყურადღებოა, რომ ქრონოლოგიურად უფრო ძველი დოკუმენტი მხოლოდ ამ ეტაპზე გახდა განხილვის საგანი. ამავე სხდომის მასალებში ქაიხოსროსა და დომენტის წერილები აღარსად ჩანს, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ საქმემ დახურული მოკვლევის ფორმატში გადაინაცვლა.

1709 წელს პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციამ საქართველოდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წერილი მიიღო – ამჯერად წმინდა ბასილის ორდენის ბერის, დიდი მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანისაგან. ეს დოკუმენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, რომ ფაქტობრივად სწორედ იგი ხსნის იმ უფრო ფრთხილ და შეფარულ მიზნებს, რომლებიც ლევან ბატონიშვილის, დომენტი კათალიკოსისა და ქაიხოსროს წერილებში იკითხება. თუ მათ კორესპონდენციაში რომთან დაახლოებისა და კათოლიკურ სამყაროსთან კავშირის სურვილი უმთავრესად სარწმუნოებრივი ერთგულებისა და პირადი აღსარების ფორმით არის წარმოდგენილი, სულხან-საბა ამ წერილში პაპს პირდაპირ სთხოვს ქართველ ქრისტიანთა დახმარებას: „ამათგან თქუენი ლოცვა და საქმითაც მოვმარება იყოს – ხილულის მტრებისაგან დიდს ჭირში არიან“ (SC-Georgia, vol. 2, f. 4r).<sup>41</sup>

<sup>41</sup> სულხან-საბა ორბელიანის აღნიშნული წერილი მიხეილ თამარაშვილმა გამოაქვეყნა. შემდგომშიც რამდენჯერმე გამოქვეყნდა სრულად თუ ფრაგმენტულად, თუმცა ყოველ ჯერზე თანმხლები დოკუმენტების გარეშე და გარკვეული ტექსტუალური შეცდომებით. წერილი – დედნის იდენტური, რედაქტირებული

დომენტისა და ქაიხოსროსთვის პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის მიერ პასუხის მომზადებას მთელი ორი წელი დასჭირდა: 1710 წლის 18 აგვისტოს კრებამ ირანის მისიის ვიკარიუსის, პატრი ჯუზეპე მარია დი ჯეზუს, ანგარიში განიხილა, რომლის მიხედვითაც, მისიონერი ქაიხოსრო „ნამდვილ კათოლიკედაა“ წარმოჩენილი. ამის საპირისპიროდ, პატრი დომენტი კათალიკოსის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი კვლავ „ბერძნულ წესს“ მისდევს და ამიტომ მისი განცხადებებისადმი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. ჯუზეპე მარია დი ჯეზუს პასუხის ამ შინაარსს ვიგებთ ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტური კომპლექსის ერთ-ერთი წყაროდან, რომელიც სერია ACTA-შია წარმოდგენილი (ACTA 1710, vol. 80, ff. 365r-366v). ამ წერილის დედანი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, თუმცა, ვფიქრობთ, იგი დაცული უნდა იყოს 1710 წლის 18 აგვისტოს კონგრეგაციის კრების მასალების ამსახველ შესაბამის ტომში, SOCG სერიაში.

მიღებული ცნობების საფუძველზე, 1711 წლის 24 იანვარს პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის კრების გადაწყვეტილებით, სამი წერილი მომზადდა: ქაიხოსროსთვის, დომენტი კათალიკოსისა და ჯუზეპე მარია დი ჯეზუსათვის.<sup>42</sup> სამივე ეს წერილი გამოქვეყნებულია მიხეილ თამარაშვილის მიერ (იხ. თამარაშვილი 1902, 305-307). დომენტისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ პაპი მას უგზავნიდა კათოლიკური სარწმუნოების სიმბოლოს და მოუწოდებდა, მტკიცედ დარჩენილიყო რწმენაზე, ეზრუნა თავის სამწყსოზე და, დევნის შემთხვევაში, რომში გამგზავრებაც განეხილა. ქაიხოსროსადმი მიწერილი წერილის თანახმად, პაპი მას აძლევდა ნებართვას ყველაფერზე, რაც კათოლიკურ სარწმუნოებას არ ეწინააღმდეგე-

---

სახით, შესაბამისი თანხლები დოკუმენტებითა და კომენტარებით სრულად 2026 წელს გამოქვეყნდა (იხ. მთვარელიძე et al. 2026, 99-112).

<sup>42</sup> ჯუზეპე მარია დი ჯეზუსადმი პროპაგანდას მიერ 1708 წლის 18 აგვისტოს გაგზავნილი წერილი გამოქვეყნებული აქვს მიხეილ თამარაშვილს (თამარაშვილი 1902, 305-309). თავად ჯუზეპე მარია დი ჯეზუს პასუხს პროპაგანდასადმი ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, მხოლოდ მისი აღწერა გვაქვს მითითებულ ტომში წარმოდგენილი. მიხეილ თამარაშვილს ასევე გამოქვეყნებული აქვს პროპაგანდას მიერ დომენტი კათალიკოსთან, ქაიხოსროსთან და ჯუზეპე მარია დი ჯეზუსთან 1711 წელს გაგზავნილი წერილები. აქამდე სწორედ ამ ოთხი დოკუმენტის საფუძველზე ვიცნობდით დომენტისა და ქაიხოსროს საქმეს, რაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენ მიერ მიკვლეულმა ათზე მეტმა ახალმა წყარომ.

ბოდა და მადლობას უხდოდა ქრისტიანებისთვის გაწეული დახმარებისათვის. ამასთან, უგზავნიდა ოქროსა და ვერცხლის ჯაჭვებს პაპის გამოსახულებიანი მედალიონით და აძლევდა პირობას, საჭიროების შემთხვევაში, რომში თავშესაფრის მიღების თაობაზე. პატრ ჯუმბეპე მარია დი ჯემუს კი კონგრეგაცია ავალეზდა, პირადად გადაეცა აღნიშნული წერილები დომენტისა და ქაიხოსროსთვის და მათი შემდგომი სულიერი ხელმძღვანელობა პატრ ბასილიუსთან შეთანხმებით ეწარმოებინა (თამარაშვილი 1902, 307-309).

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა მოიცავს კიდევ ერთ წყაროს – ამ შემთხვევაში მხოლოდ საინდექსო ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, 1711 წელს რომში პატრი ჯუმბეპე მარია დი ჯემუს მეორე წერილიც ჩავიდა. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ მისიონერი უკვე ორივე ძმას – დომენტისა და ქაიხოსროსა და მტკიცე კათოლიკეებად წარმოადგენდა. მეტის თქმა ამ ეტაპზე აღნიშნული წერილის შესახებ არ შეგვიძლია, თუმცა მიგვაჩნია, ეს უნდა იყოს პასუხი პროპაგანდას მიერ ჯუმბეპე მარია დი ჯემუსთან გაგზავნილ წერილზე, რომლითაც მას დომენტისა და ქაიხოსროსთვის განკუთვნილი წერილების ადრესატებად მიტანა დაევალა. ვფიქრობთ, ეს წერილი სხვა თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად SOCG სერიის 1711 წლის მასალების ამსახველ რომელიმე ტომშია საძიებელი.

ამ მიმოწერის დასრულებიდან მალევე მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა, რომელთა შორის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ ეპიზოდად ქაიხოსროს ისტორია რჩება. მიუხედავად იმისა, რომ 1711 წლის იანვარში კონგრეგაციამ მას ოფიციალური პასუხი, საჩუქრები და რომში თავშესაფრის შეთავაზებაც გაუგზავნა, უცნობია, მოასწრო თუ არა ამ წერილის მიღება ქაიხოსრომ (თამარაშვილი 1902, 309). მალევე ყანდაჭარის ბრძოლაში იგი ავღანელებთან დაპირისპირებისას დაიღუპა, ისევე, როგორც რამდენიმე წლით ადრე გიორგი XI. ქაიხოსროსთან ერთად მოკლეს პატრი ბასილიუსიც, რომელმაც, წყაროების მიხედვით, გაქცევაზე უარი თქვა და ბოლომდე ქაიხოსროს გვერდით დარჩა (თამარაშვილი 1902, 309; პაპაშვილი 1995, 241).

დომენტი კათალიკოსის შემთხვევაში, მოვლენათა განვითარებას სხვა მდინარება ჰპოვა. მიუხედავად რომთან მიმოწერისა და პა-

პის მიერ გამოგზავნილი სარწმუნოების სიმბოლოსი, იგი სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ეკლესიის კათალიკოსად დარჩა. წყაროები არ ადასტურებს, რომ დომენტი საბოლოოდ და საჯაროდ შეუერთდა კათოლიკურ ეკლესიას, თუმცა მისი მიმოწერა პროპაგანდას კონგრეგაციასთან ნათლად აჩვენებს XVIII საუკუნის დასაწყისის ქართული სასულიერო ელიტის ნაწილის რთულ და მრავალშრიან პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ორიენტაციას.

შესაბამისად, დომენტი კათალიკოსისა და ქაიხოსროს რომთან მიმოწერა და მათი კათოლიკურ სამყაროსთან დაახლოების მცდელობა არ უნდა განვიხილოთ იზოლირებულ მოვლენად. არსებული დოკუმენტური მასალა ცხადყოფს, რომ ეს პროცესი უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ ფართო პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ქსელთან, რომელიც XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფო კარზე ყალიბდებოდა. გიორგი XI-ის 1687 წლის წერილები და მათი თანმხლები წყაროებიც ადასტურებს, რომ რომთან ურთიერთობის დამყარება უკვე სამეფო პოლიტიკის ნაწილად იყო ქვეული, ხოლო ლევან ბატონიშვილი – როგორც „მთელი საქართველოს დიდი მმართველი“ ამ გეგმების აქტიურ მონაწილედ მოიაზრებოდა (SOCG, vol. 500, f. 103r).

ამდენად, გიორგი XI-ის, ლევან ბატონიშვილის, ქაიხოსროს, დომენტი კათალიკოსის, სულხან-საბა ორბელიანისა და მოგვიანებით ვახტანგ VI-ის მიმოწერა რომთან – პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტების არქეოგრაფიული ანალიზის შუქზე, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქმე ცალკეულ და ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მიმართვებთან კი არა, ქართლის სამეფო კარის მრავალწლიან პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ სტრატეგიასთან გვაქვს, რომელიც, დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან და წმინდა საყდართან დაახლოების გზით, საქართველოსთვის პოლიტიკური და კულტურული საყრდენის მოძიებას ისახავდა მიზნად.

ვფიქრობთ, 1707-1710 წლების ამსახველი, ჩვენს ხელთ არსებული, ოცამდე ახალი წყარო – მათ შორის, სტატიამი განხილული დოკუმენტები, მნიშვნელოვნად გააფართოებს ამ საკითხის კვლევის წყაროთმცოდნეობით ბაზას და ქართველ მკვლევრებს საშუალებას

მისცემს, უფრო ფართო და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, ხელახლა შეაფასონ XVIII საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური აზროვნება, დიპლომატიური სტრატეგიები და საქართველოს დასავლეთისკენ მიმართული სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი ორიენტაციის ისტორია.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ალიმბარაშვილი, იოსებ. 2013-2015. კათალიკოსი დომენტი IV. *საისტორიო ძიებანი*, N12: 88-119.  
Alimbarashvili, ioseb. 2013-2015. K'atalik'osi doment'i IV. Saist'orio dziebani, N12: 88-119.
- ალიმბარაშვილი, იოსებ. 2011. კათალიკოსი დომენტი IV – ქართული კულტურის მოამაგე. *შრომათა კრებული*, N2: 166-179.  
Alimbarashvili, ioseb. 2011. K'atalik'osi doment'i IV – kartuli k'ult'uris moamage. Shromata k'rebuli, N2: 166-179.
- ბატონიშვილი, იოანე. 1948. კალმასობა. ტ. II. თბილისი: სახელგამი.  
Bat'onishvili, ioane. 1948. K'almasoba. T'. II. Tbilisi: sakhelgami.
- დონდუა, ვარლამ. 1985. *საისტორიო ძიებანი*, ტ. III: თბილისი: მეცნიერება.  
Dondua, varlam. 1985. Saist'orio dziebani, t. III: tbilisi: metsniereba.
- კასრაძე, ოთარ. 1997. *ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან*. თბილისი: ხელოვნება.  
K'asradze, otar. 1997. Nark'vevebi kartuli ts'ignis bech'dvis ist'oriidan. Tbilisi: khelovneba.
- კაჭარავა, ეკა. 2002. დომენტი კათალიკოსის მოღვაწეობის საკითხისათვის. *ანალები*, N1: 34-40.  
K'ach'arava, ek'a. 2002. Doment'i k'atalik'osis moghvats'eobis sak'itkhisatvis. Analebi, N1: 34-40.
- კუპატაძე, ბონდო. 1997. უპრინციპო კომპრომისი ქართულ დიპლომატიკაში [დომენტი IV-ის პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობა]. ქართული დიპლომატია: წელიწადეული, N4: 251-258.  
K'up'at'adze, bondo. 1997. Up'rintsip'io k'omp'romisi kartul dip'lomat'iashi [doment'i IV-is p'olit'ik'uri da dip'lomat'iuri moghvats'eoba]. Kartuli dip'lomat'ia: ts'elits'deuli, N4: 251-258
- მეტრეველი, როინ. 2010. დომენტი IV (დამიანე ლევანის ძე ბაგრატიონი). წიგნში *საქართველოს მეფეები და პატრიარქები*, 111-113. თბილისი: არტანუჯი.  
Met'reveli, roin. 2010. Doment'i IV (damiane levanis dze bagrat'ioni). Ts'ignshi sakartvelos mepeebi da p'at'riarkebi, 111-113. Tbilisi: art'anuji.
- პაპაშვილი, მურმან. 1995. *საქართველო-რომის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში*. თბილისი: აღმაშენებელი.

P'ap'ashvili, murman. 1995. Sakartvelo-romis urtiertoba XVII-XVIII sauk'unebshi. Tbilisi: aghmashenebeli.

- პაპაშვილი, მურმან, ელდარ მამისტვალიშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი, ხათუნა ჩაფჩიძე. 2020. *საქართველო ევროპულ სამყაროში – XVII ს-ის 70-იანი წლები – XVIII ს.* თბილისი: უნივერსალი.

P'ap'ashvili, murman, eldar mamistvalishvili, zurab gamezardashvili, khatuna chapichadze 2020. Sakartvelo evrop'ul samq'aroshi – XVII s-is 70-iani ts'lebi – XVIII s. Tbilisi: universali.

- სოსიაშვილი, გიორგი, და თათია მთვარელიძე. 2024-2025. ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები ქართლის ჯანიშინის – ლევანის შესახებ. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე: ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია: N1-2: 36-49, 168-195.*

Sosiashvili, giorgi, da tatia mtvarelidze. 2024-2025. Vat'ik'anis p'rop'aganda pides saist'orio arkivshi datsuli dok'ument'ebi kartlis janishinis – levanis shesakheb. Sakartvelos metsnierebata erovnuli ak'ademiiis matsne: ist'oriiis, etnograpiisa da khelovnebis ist'oriiis seria: N1-2: 36-49, 168-195.

- თამარაშვილი, მიხეილ. 1902. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი: წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა. Tamarashvili, mikheil. 1902. Ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris. T'pilis: ts'ignis gamomtsemel kartvelta amkhanagoba.

- თაყაიშვილი, ექვთიმე. 1907. კათალიკოს-ბაქარიანი მღვდლის იესე ტლაშაძისა. თბილისი: მსწრაფლმბეჭდავი „ძმობისა“.

Taq'aishvili, ekvtime. 1907. K'atalik'os-bakariani mghvdilis iese t'lashadzisa. Tbilisi: msts'raplmbech'davi „dzmobisa“.

- მთვარელიძე, თათია, თამარ კოშორიძე, მარიამ შენგელია, ნათია მიროტაძე, ნინო დიანოსაშვილი. 2026. წყაროები პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივიდან. გორი: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Mtvarelidze, tatia, tamar k'oshoridze, mariam shengelia, natia mirot'adze, nino dianosashvili. 2026. Ts'q'aroebi p'rop'aganda pides saist'orio arkividan. Gori: goris sakhelmts'ipo universit'et'i.

- ქავთარია, მიხეილ. 2002. რამდენიმე საკითხი დომენტი კათალიკოსის ბიოგრაფიიდან. ლიტერატურული ძიებანი, N23: 119-148.

Kavtaria, mikheil. 2002. Ramdenime sak'itkhi doment'i k'atalik'osis biografiidan. Lit'erat'uruli dziebani, N23: 119-148.

- ქიქოძე, მანანა. 2001. კათალიკოს დომენტი IV ბაგრატიონის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. წიგნში *DEDICATIO: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*. რედ. ვაჩნაძე, 336-349. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Kikodze, manana. 2001. K'atalik'os doment'i IV bagrat'ionis sakhelmts'ipoebriv'olit'ik'uri moghvats'eoba. Ts'ignshi DEDICATIO: ist'oriul-pilologiuri dziebani. Red. Vachnadze, 336-349. Tbilisi: tsu gamomtsemloba.

### წყაროები

- პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივი (Archivio Storico di Propaganda Fide), ACTA, vol. 78, ff. 462v-464v; 535v-540r  
p'rop'aganda pides saist'orio arkivi (Archivio Storico di Propaganda Fide), ACTA, vol 78, ff. 462v-464v; 535v-540r.
- პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივი (Archivio Storico di Propaganda Fide), ACTA, vol. 80, ff. 365r-366v  
p'rop'aganda pides saist'orio arkivi (Archivio Storico di Propaganda Fide), ACTA, vol 80, ff. 365r-366v.
- პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივი (Archivio Storico di Propaganda Fide), SOCG, vol. 563, ff. 404r-417v  
p'rop'aganda pides saist'orio arkivi (Archivio Storico di Propaganda Fide), SOCG, vol 563, ff 404r-417v.
- პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივი (Archivio Storico di Propaganda Fide), SOCG, vol. 564, ff. 385r-398r  
p'rop'aganda pides saist'orio arkivi (Archivio Storico di Propaganda Fide), SOCG, vol 564, ff. 385r-398r.
- პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივი (Archivio Storico di Propaganda Fide), SC-Giorgia, vol. 2, f. 4r  
p'rop'aganda pides saist'orio arkivi (Archivio Storico di Propaganda Fide), SC-Giorgia, vol 2, f. 4r.
- პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივი (Archivio Storico di Propaganda Fide), Index 1711.38.30  
p'rop'aganda pides saist'orio arkivi (Archivio Storico di Propaganda Fide), Index 1711 38. 30.

Tatia Mtvarelidze  
*Caucasus University*

**New Archival Sources on Catholicos-Patriarch Domentius IV  
of Georgia and King Kaikhosro  
from the Propaganda Fide Historical Archives**

This article analyzes newly identified archival documents from the Historical Archives of Propaganda Fide, focusing on correspondence among Catholicos-Patriarch Domentius IV of Georgia, King Kaikhosro of Kartli, and Pope Clement XI at the start of the eighteenth century. The main argument is that examining these newly discovered letters from 1708 reveals the mechanisms by which Georgian actors participated in and were affected by the circulation of information and power dynamics within the Roman Curia, thereby reshaping our understanding of early modern Georgian diplomacy and its confessional politics under Safavid rule. By offering a detailed reconstruction of these exchanges, the study ultimately demonstrates how integrating these sources deepens our comprehension of Georgia's political and religious engagements in the early modern world.

**Keywords:** *Domentius IV of Georgia, Kaikhosro of Kartli, Propaganda Fide, Roman Curia, Georgian diplomacy, Catholic missions, Safavid Persia*